



სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
ხელმძღვანელობას

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტროს 2017 წლის 31
დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდისათვის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის ანგარიშის შედეგების
შესახებ

სარჩევი

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები	3
1.1 აქციები და სხვა კაპიტალი/საინვესტიციო ქონება.....	3
1.2 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები და კრედიტორული დავალიანებები	4
1.3 ძირითადი აქტივები	5
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	6
2.1 ბუღალტრული აღრიცხვა	6
2.2 სააღიწვევო პოლიტიკა.....	6
2.3 ფულის ნაშთი.....	7
2.4 გადასახადების გაანგარიშება	7
2.5 ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტი	7
3. წინა პერიოდის აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციებზე რეაგირების საკითხი	8

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

1.1 აქციები და სხვა კაპიტალი/საინვესტიციო ქონება

გამოვლენილი გარემოება

ქონების ეროვნული სააგენტოს ბუღალტრულ ჩანაწერებსა და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული იმ აქტივებით განხორციელებული ოპერაციები, რომელიც არ წარმოადგენს უშუალოდ ქონების ეროვნული სააგენტოს საკუთრებას (ნომინალური მფლობელი სახელმწიფოა).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოზიციაა, რომ სსიპ „ქონების ეროვნულმა სააგენტომ“ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებში განხორციელებული ყველა სახის შენატანი (ფულადი, ქონებრივი და წილობრივი), ასევე საპრივატიზებო და საიჯარო ქონება. აღნიშნული აქტივების (ქონება და შპს-ების წილები) ასახვა მნიშვნელოვანია როგორც მათი ღირებულების არსებითობის, ასევე შინაარსობრივად მნიშვნელობის გამო.

აღნიშნული აქტივები არსებითია არა მარტო ქონების ეროვნული სააგენტოს, არამედ ეკონომიკის სამინისტროს და შესაძლოა სახელმწიფოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დონეზე. ამაზე მეტყველებს შემდეგი მონაცემები:

-)/ მხოლოდ 2016-2017 წლებში სხვადასხვა შპს-ებში ქონებრივმა შენატანებმა 229,403,324 ლარი შეადგინა;
-)/ 2017 წელს პრივატიზებული იქნა 78,910,957 ლარის ქონება, ხოლო ქონების იჯარით მიღებულმა ჯამურმა შემოსავალმა 3,463,957 ლარი შეადგინა;

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქონების ეროვნული სააგენტოს და შესაბამისად ეკონომიკის სამინისტროს პოზიცია შემდეგია:

სსიპ-ქონების ეროვნული სააგენტო, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, კანონის თანახმად, არის ქონებრივად დამოუკიდებელი და მისი ქონება გამიჯნულია სახელმწიფო ქონებისგან („საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი). განკარგული და სარგებლობაში გადაცემული სახელმწიფო ქონების, მართვაში არსებული აქციებისა და წილების (რომელთა მესაკუთრეს წარმოადგენს სახელმწიფო) ღირებულება, ისევე როგორც ამ ქონებებიდან მიღებული სხვა შემოსავალი წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას (და არა სსიპ-ქონების ეროვნული სააგენტოს ქონებას) და იგი ვერ აისახება სსიპ-ქონების ეროვნული სააგენტოს ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში. სახელმწიფო ქონებასთან მიმართებით (მნიშვნელობა არ აქვს ქონების სახეს) სსიპ-ქონების ეროვნული სააგენტო გამოდის როგორც სახელმწიფოს სპეციალური წარმომადგენელი.

რეკომენდაცია N1: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“

საკითხის სახელმწიფო დონეზე მნიშვნელობიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე ეკონომიკის სამინისტრომ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან მჭიდრო კომუნიკაციით, იმსჯელოს თუ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სტრუქტურაში შემაჯავალი რომელი ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებში განხორციელებული არაფულადი შენატანები ასევე საპრივატიზებო და საიჯარო ქონება. მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, აღნიშნული აქტივები ასახოს შესაბამისი ორგანიზაციის ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში, ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის¹ შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში მოხდეს საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება.

¹ საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #429 ბრძანება

1.2 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები და კრედიტორული დავალიანებები

გამოვლენილი გარემოება

2017 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 3,816,390 ლარის მოთხოვნებისა და 1,001,500 ლარის ვალდებულებების მაიდენტიფიცირებელი პირველადი დოკუმენტაცია სამინისტროში არ იძებნება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მოთხოვნების 99% და ვალდებულებების 83% წარმოშობილია 1997-2007 წლებში.

რეკომენდაცია N2: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნების ინვენტარიზაციის, ურთიერთშედარების აქტების გაფორმების, მათი რეალობის, ხანდაზმულობის, ამოღების ალბათობის შესწავლას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

გამოვლენილი გარემოება

ქონების ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ფულისა (1260 დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში) და ვალდებულებების (3110 ვალდებულებები დეპოზიტებით) ნაშთი 1,270,024 ლარის ოდენობით, აღნიშნული თანხა წარმოადგენს სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წინა წლებში ჩარიცხულ თანხებს, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის (2017 წლის 31 დეკემბერი) არ არის ცნობილი წარმოადგენს ქონების ეროვნული სააგენტოს გამომუშავებულ შემოსავალს, დასაბრუნებელი აქვს ორგანიზაციებისათვის თუ ბიუჯეტში აქვს მისამართი.

რეკომენდაცია N3: სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით ქონების ეროვნულმა სააგენტომ მოიძიოს ინფორმაცია დეპოზიტზე არსებულ უძრავ თანხებთან დაკავშირებით და განახორციელოს აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული ღონისძიებები.

გამოვლენილი გარემოება

აწარმოე საქართველოში ახორციელებს მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამას, რის ფარგლებშიც ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 4 კომპანიასთან². აღნიშნული კონტრაქტორები უშუალოდ ახორციელებენ პროგრამის იმპლემენტაციას და გასცემენ რეკომენდაციებს სააგენტოს მიერ პროგრამის ბენეფიციარის(ების) თანადაფინანსებასთან დაკავშირებით.

ბენეფიციარის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აწარმოე საქართველოში. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ბენეფიციართან ფორმდება ხელშეკრულება³, რომლის მიხედვით სააგენტო უფლებამოსილია უკან მოითხოვოს ბენეფიციარის მიერ არამიზნობრივად დახარჯული თანხა.

კონტრაქტორი ვალდებულია აწარმოე საქართველოს წარმოდგენოს ბენეფიციარების მონიტორინგის პერიოდული ანგარიშები, რაც ხშირ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი. აწარმოე საქართველოში ბენეფიციარების მიერ კონტრაქტის პირობების შესრულების შესახებ ინფორმაციას იღებს მხოლოდ კონტრაქტორების მეშვეობით. შესაბამისად აწარმოე საქართველოში არსებული ინფორმაცია პრობლემური ბენეფიციარების შესახებ არასრულია.

ბენეფიციარების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ნაკლებობა ზრდის საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურად და არაეფექტიანად ხარჯვის რისკს.

2 შპს თბილისის ბიზნეს ტრენინგის ცენტრი, ა(ა)იპ რეგიონული განვითარების ასოციაცია, ა(ა)იპ საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია-საქართველოს სკაუტები, შპს ჯი ემ სი ჯი

3 ხელშეკრულების მუხლი 3.4 პუნქტი 3.4.2

აწარმოე საქართველოს ინფორმაციით, 46-მა ბენეფიციარმა, რომელთა დაფინანსებამ შეადგინა 315,104 ლარი, არ შეასრულა კონტრაქტის პირობები. აღნიშნული თანხა აწარმოე საქართველოში-ს ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული, როგორც მოთხოვნა და არც მათი ამოღებისათვის განხორციელებულა რაიმე ქმედება.

ამასთან აღსანიშნავია, რომ სააგენტოში არ არის დანერგილი კონტროლის მექანიზმები რაც უზრუნველყოფდა კონტრაქტორების მიერ ბენეფიციარებისათვის გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

რეკომენდაცია N4: სსიპ „აწარმოე საქართველოში“

მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ეფექტური განხორციელების მიზნით, საჭიროა კონტრაქტორების მიერ სრულყოფილად იქნას მოწოდებული ბენეფიციარების მონიტორინგის პერიოდული ანგარიშები, ხოლო აწარმოე საქართველოში-მ თავის მხრივ განახორციელოს კონტრაქტორი კომპანიების მიერ მოწოდებულ ანგარიშებში არსებული ინფორმაციის დეტალური შესწავლა, სისრულისა და სისწორის დადგენა (მათ შორის პრობლემური ბენეფიციარის შესახებ), რის შემდეგაც გამოვლენილი გარემოებების გათვალისწინებით იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

აწარმოე საქართველოში-მ საჭიროა დანერგოს კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს კონტრაქტორების მიერ ბენეფიციარებისათვის გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

1.3 ძირითადი აქტივები

გამოვლენილი გარემოება

სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ზოგიერთ უწყებაში: სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში, საზღვაო აკადემიასა და აკრედიტაციის ცენტრში 2017 წელს არ ჩატარებულა სავალდებულო⁴ ინვენტარიზაცია. ასევე, სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის სააგენტო“ ინვენტარიზაცია განახორციელა ფინანსთა მინისტრის №605 ბრძანებასთან რიგი მნიშვნელოვანი შეუსაბამოებით.

რეკომენდაცია N5: სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“, სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“, სსიპ „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას“ და სსიპ „სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს“

იმისათვის, რომ სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“, სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“, სსიპ „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას“ და სსიპ „სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს“ ჰქონდეს სრული და ზუსტი ინფორმაცია ფაქტობრივად არსებული აქტივების ბუღალტრულ მონაცემებთან თანხვედრის შესახებ, აუცილებელია, ინვენტარიზაცია ჩატარდეს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ინვენტარიზაციის შედეგების რეალიზაცია.

გამოვლენილი გარემოება

სამინისტროს აპარატის ბალანსზე ირიცხება 853,713 ლარის ღირებულების არამატერიალური აქტივები (სარეკლამო რგოლები) რომლებიც მოძველებულია და აღარ გამოიყენება. აღნიშნული აქტივები აღრიცხვის ინსტრუქციის⁵ მიხედვით არ აკმაყოფილებენ ძირითად აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. შესაბამისად, არ უნდა იქნას ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც ძირითადი აქტივი.

4 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ

5 3-ე მუხლის 1-ლი პუნქტის გ ქვეპუნქტი

რეკომენდაცია N6: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მოახდინოს ისეთი არამატერიალური აქტივების რეკლასიფიკაცია, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ინსტრუქციით⁶ მოთხოვნილ ძირითად აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ასევე დანერგოს შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მსგავსი ტიპის შეუსაბამობის პრევენციას, აქტივების აღრიცხვისა და ცვეთის დარიცხვის პრაქტიკის შესაბამისობას ინსტრუქციის⁷ მოთხოვნებთან.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 ბუღალტრული აღრიცხვა

გამოვლენილი გარემოება

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსა და აკრედიტაციის ცენტრში არ გამოიყენება სპეციალიზებული საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა. რაც ზრდის ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების რისკს. მაგ: აკრედიტაციის ცენტრი არ აწარმოებს მთავარ წიგნს, რიგ შემთხვევებში დარღვეულია ორმაგი ჩაწერის პრინციპი, არასწორად არის კლასიფიცირებული და წარდგენილი მიღებული შემოსავლები ფინანსური ანგარიშგების დანართ N2-ში და ა.შ.

ინოვაციების სააგენტო ბუღალტერიას აწარმოებს სპეციალიზებულ საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამაში, თუმცა ეს აღრიცხვა არასრულყოფილი და არაზუსტია, კერძოდ საბალანსო მუხლების ნაშთები და ბრუნვები არ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს.

რეკომენდაცია N7: სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“, სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ და სსიპ „აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრს“

ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების თავიდან აცილების და ბუღალტრული საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით მიზანშეწონილია, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს და აკრედიტაციის ცენტრის ხელმძღვანელობამ დანერგოს, ხოლო საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ და ქონების ეროვნულმა სააგენტომ სრულყოფილად აწარმოოს ფინანსური აღრიცხვა სისტემატიზებული კომპიუტერული ბუღალტრული პროგრამის გამოყენებით.

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკა

გამოვლენილი გარემოება

ეკონომიკის სამინისტროს სისტემაში არ არის შემუშავებული და დანერგილი ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით⁸ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკა⁹ შესაძლებელია მოიცავდეს ინსტრუქციას შემდეგ საკითხების აღრიცხვის შესახებ: უიმედო ვალებს, მოძველებულ მატერიალურ ფასეულობებს, ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს, ცვეთად აქტივებზე გაწეული დანახარჯებს და სხვ. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებობა უზრუნველყოფს ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობას.

6 საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #429 ბრძანება, მუხლი 67

7 საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #429 ბრძანება

8 საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება, მუხლი 12.

9 საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება, მუხლი 13, პუნქტი 8

რეკომენდაცია N8: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

ფინანსური ანგარიშგების, საიმედოობისა და შესაძარისობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და მის დაქვემდებარებაში მყოფმა უწყებებმა უზრუნველყონ ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, რომლის საშუალებითაც ასევე შესაძლებელი იქნება ბუღალტრული აღრიცხვის სათანადოდ წარმოება და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების მომზადება.

2.3 ფულის ნაშთი

სამინისტროს აპარატი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აპარატის საბალანსო ანგარიშზე, სხვა ანგარიშები ბანკში, ერიცხება ყოფილი სამინისტროების (ეკონომიკის, ქონების, მრეწველობისა და ვაჭრობის) ბალანსებიდან გადმოსული გაურკვეველი ნაშთი - 210,370 ლარი, რომლის არსებობაზე რწმუნება ვერ იქნა მოპოვებული. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ნაშთი წარმოშობილია 2004 წელს.

რეკომენდაცია N9: ეკონომიკის სამინისტროს აპარატი

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით ეკონომიკის სამინისტროს აპარატმა მოიძიოს ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ გაურკვეველ ნაშთთან (210,370 ლარი) დაკავშირებით და განახორციელოს აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული ღონისძიებები, ასევე იმსჯელოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ქმედებების საჭიროების შესახებ.

2.4 გადასახადების გაანგარიშება

გამოვლენილი გარემოება

მოგების გადასახადის გაანგარიშების მიზნებისათვის ეკონომიკის სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი ზოგიერთი სსიპ ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებულ 10%-ს აღიარებს ხარჯად და იქვითავს ერთობლივი შემოსავლიდან, ხოლო სსიპ-ების გარკვეული ნაწილი არ იქვითავს. სამინისტროს სისტემაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ არის დანერგილი ერთიდაიგივე პრაქტიკა.

რეკომენდაცია N10: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

მოგების გადასახადის გაანგარიშების მიზნებისათვის ეკონომიკის სამინისტროს სტრუქტურაში შემავალმა სსიპ-ებმა ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული 10%-ის ხარჯად აღიარებასთან დაკავშირებით დანერგონ საერთო და მართებული პრაქტიკა.

2.5 ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტი

გამოვლენილი გარემოება

სამოქალაქო ავიაციის სააგენტო საქართველოს მთავრობის დადგენილების¹⁰ მიხედვით წარმოადგენს კრიტიკული ინფორმაციის სუბიექტს, ის თავისი საქმიანობის განხორციელების პროცესში იყენებს რამდენიმე სერვერს სადაც განთავსებული აქვს სხვადასხვა პროგრამები და ინფორმაციები.

2017 წლის 2 მაისს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში დაფიქსირდა ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტი (კიბერ თავდასხმა), რის შედეგადაც დაიბლოკა ზემოთ ხსენებულ სერვერებზე განთავსებული ფაილური სისტემა და პროგრამები. დაშიფრულია და შესაძლებელია დაკარგული იყოს სხვადასხვა პერსონალური და კრიტიკული ინფორმაცია.

10 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 აპრილის დადგენილება №312 კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

ორგანიზაციაში არ არსებობს სარეზერვო ასლების შენახვის პოლიტიკა, ამიტომ შესაძლოა დაკარგული ინფორმაციის აღდგენა შეუძლებელი ან დიდ დანახარჯებთან დაკავშირებული აღმოჩნდეს, რამაც საბოლოო ჯამში შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ორგანიზაციის უწყვეტ საქმიანობაზე. ინციდენტი შესაძლოა ასევე შეიცავდეს სხვა უფრო მნიშვნელოვან რისკებს.

რეკომენდაცია N11: სსიპ „საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“

სსიპ „საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ“ გააძლიეროს ინფორმაციული სისტემების დაცვა კიბერ შეტევების პრევენციისათვის. მათ შორის, უზრუნველყოს ეფექტიანი კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა.

ასევე, დანერგოს ორგანიზაციის გამართულად ფუნქციონირებისათვის აუცილებელი და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის/საინფორმაციო სისტემების სარეზერვო ასლების შენახვის პრაქტიკა.

3. წინა პერიოდის აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციებზე რეაგირების საკითხი

რეკომენდაცია N1:

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის, ურთიერთშედარების აქტების გაფორმების, მათი რეალობის ხანდაზმულობის, ამოღების და დაფარვის ალბათობის შესწავლისა და ჩამოწერის პროცესს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

შესრულების მდგომარეობა: შეუსრულებელი

ორგანიზაციებიდან მივიღეთ პასუხი, რომ შეიქმნებოდა სამუშაო ჯგუფი ხანდაზმულობის, ჩამოწერის შესწავლისათვის და შემდგომში მოხდებოდა რეაგირება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თუმცა 2017 წელს გაურკვეველ დებიტორ-კრედიტორებთან დაკავშირებული ქმედებები არ გამხორციელებულა.

რეკომენდაცია N2:

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია, სსიპ „სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულმა სააგენტომ“ და სსიპ „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიამ“ დანერგონ შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ცვეთის დარიცხვის პრაქტიკის შესაბამისობას ფინანსთა მინისტრის ბრძანების დამტკიცებულ მოთხოვნებთან.

შესრულების მდგომარეობა: შესრულებული

რეკომენდაცია N3:

იმისათვის, რომ სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“, სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“, სსიპ „ბათუმის საზღვაო აკადემიას“ და სსიპ „სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს“ ჰქონდეს სრული და ზუსტი ინფორმაცია ფაქტობრივად არსებული აქტივების ბუღალტრულ მონაცემებთან თანხვედრის შესახებ, აუცილებელია, ინვენტარიზაცია ჩატარდეს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ინვენტარიზაციის შედეგებისა და ბუღალტრული მონაცემების ურთიერთშედარება.

შესრულების მდგომარეობა: შეუსრულებელი

2017 წელს ინვენტარიზაცია ჩაატარა მხოლოდ სსიპ „სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში“ თუმცა ინვენტარიზაცია ჩატარებულია ინვენტარიზაციის წესთან შეუსაბამო დარღვევებით.

რეკომენდაცია N4:

ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“, სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“, სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო -აკრედიტაციის ცენტრის“ ხელმძღვანელობამ დაწეროს სისტემატიზებული კომპიუტერული ბუღალტრული პროგრამა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ბუღალტერიის სათანადოდ წარმოება და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების მომზადება.

შესრულების მდგომარეობა: ნაწილობრივ შესრულებული

2017 წელს მხოლოდ სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში“ დაწერა სისტემატიზებული კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამა, თუმცა მნიშვნელოვანი ხარვეზებით.

რეკომენდაცია N5:

საბიუჯეტო სახსრების ეფექტურად ხარჯვის მიზნით, მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განსაზღვროს შტატით მომუშავეთა რეალურად საჭირო რიცხოვნობა და მისი გათვალისწინება მოხდეს ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე.

შესრულების მდგომარეობა: ნაწილობრივ შესრულებული

2017 წელს, კონომიკის სამინისტროს აპარატში, მართალია დამტკიცებულ საშტატო რიცხოვნობას წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებულთა რიცხოვნობა ჩამორჩება 27%-ით, თუმცა 2017 წლის 1 ივლისიდან ცენტრალური აპარატის საშტატო რიცხოვნობა შემცირებულია 24 საშტატო ერთეულით, ხოლო 2018 წლის 15 მარტიდან (რადგან არსებული კანონმდებლობა 2017 წელს ამის განხორციელების საშუალებას არ იძლეოდა), ენერგეტიკის სამინისტროს გაერთიანებასთან ერთად, დამატებით კიდევ - 101 საშტატო ერთეულით.

ქონების ეროვნულ სააგენტოში დამტკიცებულ საშტატო რიცხოვნობას წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებულთა რიცხოვნობა ჩამორჩება 11%-ით, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში 28%-ით, სტანდარტებისა და მეტროლოგიის სააგენტოში 17%, ხოლო ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში 70%-ით.

რეკომენდაცია N6:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და მისდამი დაქვემდებარებაში მყოფმა ორგანიზაციებმა შრომის ანაზღაურების სისტემისა და საკადრო პოლიტიკის გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით, სახელფასო დანამატები გასცნ მხოლოდ საფინანსო წლის განმავლობაში დასაქმებულის ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის, ამასთან დანამატების გაცემის საფუძვლები დეტალურად იქნას დასაბუთებული

შესრულების მდგომარეობა: შეუსრულებელი

სამინისტროს სტრუქტურაში 2017 წელს გაცემული დანამატები არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE